სახალხო გაზეთი

№ 236 შაბათი, 19 თებერვალი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 236

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ სალაბოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „ხორავან“-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტლე და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящ. N 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

გლეხთა-განთავისუფლების 50 წლის იუბილეი

ამ ნომერში ეძვსი გვერდია, დღევანდელ დამატებაში რვა გვერდი.

ტფილისი, 19 თებერვალი

ბატონ-ყმობის გაუქმების იუბილეი.

მას შემდეგ ნახევარმა საუკუნემ გაიარა. 19 თებერვალს 1861 წელს რუსეთის ტახტის სიმაღლიდან ნაბრძანევ იქმნა გლეხთა განთავისუფლება ათას წლოვან მონობისაგან და ამ ბრძანებამ უზომო სიხარულით ააღგზარა რუსეთის მრავალრიცხოვანი მშრომელ ხალხის გული. დიდი რეფორმა, რუსეთის სოციალურ ცხოვრების უღრმეს საძირკვლის შემცველი, შეიქმნა იმ წერტილად, საიდანაც იწყება ახალი ისტორია ამ უზარმაზარ სახელმწიფოსი. დიდებულ ისტორიულ აქტით მოეღო ბოლო მონობის პსიხოლოგიას, მონურ კერპებს, უსიტყვო მორჩილებას და რუსეთი უფლებრივ სახელმწიფოს გზისკენ გაემართა.

ერთის კალმის მოსმით და ერთის ხელის მოკნევით წვრილმანი საქმეც არა სრულდება, მით უმეტეს შეუძლებელი იყო, ერთის უმაღლესის ბრძანებით მონობის ნაცვლად საზოგადოებრივ ცხოვრების დასაბამად თავისუფლება შექმნილიყო. გლეხთა განთავისუფლების აქტს თავისი გრძელი და მოწამებრივი წარსული აქვს. თავისუფლების პრინციპის მიხედვით სახელმწიფოს ცხოვრების გადაქმნა კი ჯერაც არ დასრულებულა. თავისუფლების აქტის წარსულს შეადგენს რუსეთის გლეხობის ბრძოლა ძალმოსილებთან, სასტიკი და ულმობელი ბრძოლა, რომელიც ხშირად ურიკხვ ადამიანთა მსხვერპლს იწირავდა, და ას-ას ტომიანი გამოკვლევანი მთავრობის ნაირ-ნაირ კომისიის, რომელიც დიდი ხანია ჰგრძნობდა რეფორმის საჭიროებას, მაგრამ ყოყმანობდა და ახანებდა ცხოვრებაში მის გატარებას. გლეხთა განთავისუფლებას ისტორიულ წარსულის საუკეთესო გამომხატავი მეფე ალექსანდრე მეორის ცნობილი სიტყვებია: „უმჯობესია, ეხლავ განთავისუფლოთ გლეხები ზემოდან ვიდრე ვილოდოთ, სანამ განთავისუფლება თავად დაიწყება ქვემოდანო.“ ეს სიტყვები ძესამოცე წლების ერთ კარის კაცის, გაქსტგაუზენის, მოხსენების დასკვნას გამოჰხატავდა და მეფე ალექსანდრე მეორემ ამ დასკვნის შესახებ აღნიშნა: „სრულიად თანახმა ვარო.“

ამ ჰაწია წერილში გლეხთა განთავისუფლების ისტორიას არ მოგითხრობთ, მაგრამ ეს ერთი ცნობაც საკმაოა ამ აზრის ცხად საყოფელად, რომ დიდებული რეფორმა ბატონყმობის გაუქმებისა ამ ნახევარ საუკუნის წინად არც მოულოდნელი საჩუქარი იყო მთავრობისაგან ხალხისთვის და არც შემთხვევითი რამ მოვლენა. გლეხთა განთავისუფლება ღრმა ისტორიულ საჭიროებას შეადგენდა რუსეთისთვის და, როგორც ყოველი ძირითადი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცვლილება, განხორციელებულ იქმნა ბრძოლით.

მზის ბრწყინვალე ბურთსაც კი შიგა და შიგ შავი წერტილები აქვს. არც გლეხთა განთავისუფლება იყო თავისუფალი ამ გვარ შაკ წერტილებისაგან. ეს შავი წერტილები საგლეხო რეფორმისა თავიდანვე ორ ჯგუფად განიყოფებოდნენ. ერთის მხრივ თავისუფალ ადამიანად ცნობილ გლეხს ესაჭიროებოდა თავისუფალ ეკონომიურ მოქმედებისთვის თავისუფალი მიწა და მეორეს მხრივ თავისუფლად აღიარებულ მოქალაქეს ესაჭიროებოდა თავისუფალი სარბიელი სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მიწის საჭიროებას განთავისუფლების დიდებული აქტი 1861 წლისა საკმაოდ ვერ აკმაყოფილებდა. ამ აქტით გლეხობას მიენიჭა პირადი თავისუფლება, მაგრამ მიწა ისევ მემამულეების საკუთრებად დარჩა. რაც გლეხების ხელში მიწა დარჩა, იმის კვალობაზე მათ წინანდელ ბატონების სასარგებლოდ გადასახადები დაედოთ. აქ გამოინასკვა ახალ რუსეთის აგრარული პრობლემა, რომელიც საბოლოოდ ჯერაც გადაწყვეტილი არ არის. თავისუფალი ასპარეზი საზოგადო და სახელმწიფო ცხოვრებაში მონაწილეობისთვის ლოგიკურის აუცილებლობით მოითხოვებოდა ბატონ-ყმობის გაუქმების აქტით, მაგრამ სამოციან წლებში გლეხობას მიანიჭეს უფლება მხოლოდ ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად შემოღებულ საერობო თვითმმართველობაში.

აგრარული და პოლიტიკურ-საზოგადოებრივი დაწინაურება ბატონ-ყმობისაგან განთავისუფლებულ გლეხობისა უკვე ტახტის სიმაღლიდან ცნობილ თავისუფლების ისტორიულ დასკვნას წარმოადგენდა. ამ დასკვნის რეალური განხორციელება რუსეთის მფლობელ კლასსებს ემუქრებოდა მათ წარსულ გავლენის, დიდების და სიმდიდრის გაუქმებით. აქედან წარმოსდგა ორი მთავარი შტო საზოგადოებრივ და პოლიტიკურ აზრის მიმდინარეობისა: რეაქციონური და პროგრესსიული, ან არისტოკრატული და დემოკრატული. 1861 წლის შემდეგ რუსეთის ისტორია წარმოადგენს ამ ორ მთავარ მიმართულების ბრძოლას. რეაქციონერების იდეალს შეადგენს ბატონობის აღდგენა, რადგან უამისოდ შეუძლებლად მიაჩნიათ შეკავება უკვე დაწყებულ ისტორიულ განვითარებისა. პროგრესისტების მისწრაფებას პირიქით შეადგენს დაწყებულ საქმის დამთავრება და რუსეთის გარდაქმნა ევროპის ტიპის უფლებრივ სახელმწიფოდ. ბრძოლა ამ ორ მიმართულების შუა დღესაც საბოლოოდ დასრულებული არ არის. წარსულ ნახევარ საუკუნის განმავლობაში ხან ერთი მიმართულება იმარჯვებდა, ხან მეორე. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ რეაქციონერების გამარჯვებას არასოდეს ისე არ გაუთამამებია რეაქციის დამცველები, რომ თვალსაჩინო რომ ნაბიჯის გადადგმა მოეხერხებინათ 1861 წელს დანგრეულ კერპების ხელახლა ასამართად. რეაქციონერების მეცადინეობა იმაზე შორს არასოდეს არ წარსულა, რომ სხვა და სხვა შემავიწროებელ საშუალებით დროებით შეეკრათ გზა რუსეთის პროგრესსიულ განვითარებისთვის და გაეძნელებინათ 1861 წელს ისტორიულად გამოსახული იდეალის დაახლოვება. პირიქით, პროგრესიულმა მიმდინარეობამ 1905 წელს ერთი ისეთი თვალსაჩინო ნაბიჯი გადასდგა, რომელიც თავის პოლიტიკურ მნიშვნელობით 1861 წელს არ ჩამოუვარდება. ჩვენ ვგულისხმობთ 17 ოქტომბრის ძანიფესტით გამოცხადებულ თავისუფლებათა უზრუნველყოფას და რუსეთის მართვა-გამგეობაში საკანონმდებლო წარმომადგენლობით სისტემის შემოღებას.

ამ მოკლე და ზოგად მიმოხილვიდანაც ნათლად დაინახავს ჩვენი მკითხველი, რა აზრი და მნიშვნელობა აქვს დღევანდელ 50 წლის იუბილეის. ეს არის მხოლოდ წარსული მოგონება. 1861 წლის რეფორმა დღესაც რუსეთის საზოგადო და სახელმწიფო ცხოვრების ცენტრში სდგას. გლეხთა განთავისუფლების დიდებული აქტი ფარულად სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრების მომავალ ძირითად რეფორმათა მთელს რიგს შეიცავდა. ამ რეფორმების სრულ და საბოლოო განხორციელებისთვის უკვე დიდძალი ენერგია და შრომაა დახარჯული; ჩვენდა საბედნიეროდ ზოგი რამ უკვე განხორციელებულია, მაგრამ კიდევ დიდი გზა ძევს წინ და კიდევ დიდი შრომაა გასაწევი სხვა და სხვა დაბრკოლებათა დასაძლევად. დროებითი გამარჯვება რეაქციონერებისა, რომელნიც ჩვენს დროში რუსეთის ბატონ-პატრონებად გადაქცეულან, არავის იმაზე მეტად არ უნდა მიაჩნდეს, რასაც იგი წირმოადგენს ნამდვილად. როგორც აქამომდე ვერ შეატრიალეს რეაქციონერებმა ისტორია უკუღმა, როგორც აქამომდე ვერ შესძლეს მათ ბატონ-ყმობის აღდგენა, ისე მომავალში ვერ შესძლებენ უკვე განხორციელებულ რეფორმათა მოსპობას. როგორც წარსულში, რეაქციას ეხლაც ის ზნეობრივი ძალა აკლია, რომელიც შესაძლოდ ჰხდის მოქმედების ფართოდ გაშლას. რეაქციის გავლენით შეფიწროებული პროგრესსიული მიმდინარეობა არც უკან შეტრიალდება და არც შეჩერდება. იგი მხოლოდ შეიძლება რაოდენადმე გაძნელდეს და ოდნავ შეგვიანდეს.

დასასრულ არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ რეაქციის გაძლიერება იმდენად თვით რუსეთს ვერაფერ ზიანს აძლევს, რამდენადაც იმის განაპირა ნაწილებს. ჩვენი ქვეყანა, როგორც ერთ-ერთი განაპირა ნაწილი, უფრო სასტიკად განიცდის თავის თავზე რეაქციის გაძლიერებას, ვიდრე შიდა რუსეთი. ჩვენში ჯერ იმ პროგრესსიულ რეფორმათა ნაათალიც არ არის განხორციებული, რომელთა შემოღებაც ისტორიული და ლოგიკურ აუცილებლობამ შეჰქმნა შიდა რუსეთისთვის. ჩვენში ზოგან გლეხთა პირადი დამოკიდებულებაც კი ისევ ძველებურად არსებობს; სბატონო მიწების გამოსყიდვა უძრავად არის შეჩერებული ერთ წერტილზე და პეტერბურგის და ტფილისის უმაღლესი მოხელეები ამ საგანზე მხოლოდ დაესრულებელ მიწერ-მოწერაში იმყოფებიან. საერობო თვითმმართველობის შემოღებასაც ხან წინ წამოაყენებენ, ხან უკან დასწევენ, ნამდვილად კი საერობო თანხებს ისევ მოხელეები განაგებენ მცხოვრებთა დაუკითხავად. უმწეო მდგომარეობაშია აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლის გახსნის საკითხი კავკასიაში და მრავალი სხვა.

საიუბილეო დღესასწაული წარსულის გადათვალიერებას ჰგულისხმობს. ვისურვოთ, რომ ამ გადათვალიერების ნაყოფი ჩვენს ქვეყანაში ზემოხსენებული რეფორმების განხორციელების დაჩქარება იყოს.

ბატონ-ყმობის გადავარდნა რუსეთსა და საქართველოში

I

19 თებერვალი 1861 წ.

დღეს, 19 თებერვალს, უზარმაზარი რუსეთი დღესასწაულობს ბატონ-ყმობის გადავარდნის 50 წლის თავს. რუსეთის ისტორიას არ ახსოვს იმისთანა შესანიშნავი ხანა და ამბავი, როგორიცაა ბატონ-ყმობის გადავარდნა და გლეხ-კაცის განთავისუფლება ყმობა-მონობიდან.

ნახევარი გლეხ-კაცობისა მოკლებული იყო თავისუფალ ცხოვრებას და ხელფეხი ჰქონდა შეკრული. სხვის უნებურად ყმა-გლეხს არაფრის გაკეთება არ შეეძლო. არ შეეძლო ეცხოვრა თავის ნებაზე და გუნებაზე, დასდგომოდა ვაჭრობას, ხელოსნობას და ეწარმოებინა საოჯახო საქმე და მეურნეობა. ბატონის დაუკითხავად და მის ნებადაურთველად ვერ წავიდოდა სხვაგან სხვა სოფელსა და ქალაქს სამუშაოს საშოვნელად და საწარმართოდ. ყველაფერი გლეხის ცხოვრებაში ბატონს ეკითხებოდა. ბატონი იყო ყმა გლეხის მსაჯული და ადმინისტრატორი. ასე გასინჯეთ, ყმა-გლეხს იმის უფლებაც არა ჰქონდა, რომ საკუთრებად შეეძინა მამული და, თუ მაინცა და მაინც როგორმე მოახერხებდა მამულის ყიდვას, ნასყიდობის ქაღალდი ბატონის სახელზე უნდა გაეკეთებინათ.

პირადი ღირსება ყმა-გლეხისა არაფრით არ იყო დაცული. არც-კი სწამდათ, თუ ასეთი ღირსება არსებობდა. არსებული კანონი არავითარ მფარველობას არ უწევდა ღირსებასა და პატივ აყრილ გლეხ-კაცსა. ამის გამო ბატონი ისე ექცეოდა თავის ყმას, როგორც მისი გუნება და ავზიანობა მოისურვებდა შეეძლო ეცემნა ყმისთვის, გაელახა და „გაეროზგა“, ჯარის-კაცად გაეგზავნა და დანაშაულისთვის კატორგაში ეკრა თავი. პატრონი და ქომაგი დაჩაგრულს, უდანაშაულოდ გალახულს და „ეროზგილს“ არავინ ჰყავდა. რასაკვირველია, მაშინაც არსებობდა კანონი, სამოქალაქო და სისხლისა, რომელიც უკრძალავდა ბატონს სასტიკად და უსამართლოდ მოპყრობოდა ყმას, უკრძალავდა უჯიათობას და გახიზნებას, მაგრამ, მაგარი ის არის, რომ კანონს ძალა ჰქონდა გამოლეული, მთავრობას ძალ-ღონე არ შესწევდა აეკრძალა ბატონისთვის ძალ-მომრეობა და უჯიათობა დაეტეუქსა და შეუპოვარი დაესაჯა. გაბატონებულ და გამეფებულ თავგასულობას და თვითნებობას საზღვარი არა ჰქონდა, რადგან თავგასულობა ისეთი ჩვეულებრივი ამბავი იყო, როგორც ჩვეულებრივია წყლის დენა დაღმა.

მაშინდელ რუსეთის სახელმწიფო წესწყობილობა რაგორც სამოქალაქო, აგრეთვე სამხედრო, გაჟღენთილი იყო ბატონ-ყმობის სულით. ყველაფერი სწორედ ამ მონურ ბატონ-ყმურ დაწესებულებაზე იყო აგებული და აშენებული. ყმა-გლეხს არ შეეძლო მოეშორებინა ბატონ-ყმური უღელი, გაერღვია ბაბაყულის ბადე და აერჩია თავისუფალი ხელობა მასწავლებლისა, მემუსიკისა, ექიმ-ფერშლისა, მსაჯულისა და მოსამართლისა, აფიცრისა, ვაჭარ-სოვდაგრისა, მრეწველისა, ზღვაოსნისა და სხვა. წარმოდგენითაც ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ყმას მოეხერხებინა აფიცრობა, ან მსაჯულობა. ესა და ამისთანა სხვა ხელობანი კეთილშობილ აზნაურის უპირატესობას შეადგენდა, იმ აზნაურისას, რომელზედაც მაშინ ამბობდნენ, რომ ძვალი უმტვერო ქაღალდივით თეთრი აქვსო და სისხლი ვარდის-ფერისა სდის ძარღვებშიო.

ყმა-გლეხს, მართალია, უფლება ჰქონდა თავი დაეხსნა ბატონისაგან, მიეცა ფული თავის დასახსნელი და გათარხნებულიყო, მაგრამ ნიათ გაეთლილი ყმა, ჯაჭვით მიბმული მიწაზე, საიდან მოაგროვებდა იმოდენა ქონებას და ფულს, რომ ყმობა-ულელი მოეშორებინა. მცირე რუსეთს ყმობაში დაებადა შესანიშნავი მგოსანი ტარას გრიგოლის ძე შევჩენკო. მეგობრებმა მოინდომეს მგოსნისთვის თავისუფლება ეშოვნათ და ძლივს მოახერხეს შევჩენკოს გათარხნება. ეს ერთი მაგალითიც ამოწმებს, თუ რა ძნელი და თითქმის მოუხერხებელი იყო ყმის თავისუფალ ადამიანად ქცევა.

ღვთისა და ჭეშმარიტება—სიმართლის საწინააღმდეგო დაწესებულება—ბატონ-ყმობა იმ ზომამდე ავიდა, რომ ბატონს სრულებით არ ეთაკილებოდა ყმის გაყიდვა ოჯახობით და ცალ-ცალკე. როგორც დღეს არ ვთაკილობთ ჩვენის ნებასურვილით ვაჭრობა ალებ-მიცემას ჩვენის სასოფლო ნაწარმოებით და სირცხვილი არა გვწვავს, როდესაც ვყიდით კიტრს, ლობიოს, წვანილს, პურსა და ღვინოს, ისე მაშინ სირცხვილი არა სწვავდა ყმის გამყიდველს. იმ დროინდელ გაზეთებში ხშირად შეჰხვდება კაცი განცხადებას, რომ აქა და აქ იყიდება ამა და ამ ფასში ყმა-გლეხიო.

რუსეთის გლეხ-კაცობა ორ ნაწილად იყო განაწილებული: ერთი ნაწილი ეკუთვნოდა ხაზინას, ხოლო მეორე—თავად-აზნაურობას. საკუთარ მამულის პატრონი გლეხი იშვიათი იყო მაშინდელს რუსეთში.

სახელმწიფო გლეხის ყოფა-ცხოვრება გაცილებით უკეთესი იყო საბატონოსაზე. ეს იმითი აიხსნება, რომ ხაზინა თავის გლეხს ახდევინებდა განსაზღვრულ კადასახადს ფულად და ბეგარაზე აღარ გაჰყავდა, რადგან მთავრობა არ მისდევდა მეურნეობას და ხვნა-თესვა არა ჰქონდა. მართალია, სახელმწიფო გლეხის გადასახადი არაფრით ჩამორჩებოდა რაოდენობითა და ზომით საბატონო გლეხის გადასახადს, მაგრამ მაინც მისი ყოფა-ცხოვრება გაცილებით სჯობდა საბატონოსას, რადგან პირადი ღირსება სახაზინო გლეხისა მეტად იყო დაცული და შენახული, ვიდრე საბატონოსი.

ყმა-გლეხს ბატონის საკუთარ მამულზე ჰქონდა ბინადობა. იგი მოვალე იყო, კვირაში სამი დღე და ზოგგან ოთხიც ემუშავნა ბატონის სასარგებლოდ თავის სამეურნეო იარაღითა და ხარ-კამეჩით—ამას ერქვა ბეგარა. როდესაც ბატონს არ ჰქონდა საკუთარი ხვნა-თესვა, ან—არ უნდოდა გაეჩინა მეურნეობა, მაშინ ყმა-გლეხს ახდევინებდა გადასახადს ფულად. ასეთს გადასახადს ეძახდნენ „აბროკს“. აბროკზე აყენებდნენ გლეხებს უფრო მაშინ, როდესაც მამული მწირი იყო, ან ტყიან-ჭაობიანი და ჭირნახული ნაკლები მოდიოდა. ბეგრისა და აბროკის სანაცვლოდ მებატონე განსაზღვრულ მამულს აძლევდა ყმა-გლეხს რომ „ნადელის“ შემუშავებით დაეჩინა თავისი ცოლ-შვილი და ეძლია საზელმწიფოსათვის კიდევ ცალკე გადასახადი. ბეგრისა და აბროკის გარდა, ყმა-გლეხს აწვა მეტის-მეტად მძიმე ტვირთი. ეს ტვირთი შინა-ყმის ძლევა.

ბატონის სასახლე სავსე იყო სოფლიდან აყვანილ გოგო-ბიჭებით. ბატონის კარზე უჯამაგიროდ მუშაობდნენ: პურის მცხობელნი, მზარეულნი, მეჯინიბენი, ჰირის-ფარეშნი, მწყემსნი-მეჯოგენი, ტყის-მცველნი, ხელოსანნი, მემუსიკენი, დარაჯნი კარ-მიდამოსი, სუფრაჯნი, მეღვინენი და სხვა.

შინა-ყმის ყოფა-ცხოვრება და ბედი ძალიან უნუგეშო იყო. უბრალო დანაშაულობისათვის ადვილად გაიროზგებოდა ხოლმე შინა-ყმა. ავზნიანი ბატონი ხშირად გაწკეპვლით არ კმაყოფილდებოდა და გულმოსული ბრძანებას აძლევდა—ხეენდები გაუყარეთ და საჯინიბოში ჩაკეტეთო. სანდომიან სახის გოგო-მოსამსახურეებს კიდევ სხვა საფრთხე ელოდათ ბატონის სასახლეში. რამდენად უნუგეშო იყო ყმა-გლეხის ბედი ბატონ-ყმობის დროს შიდა-რუსეთში, იქიდანაც სჩანს, სხვათა შორის, რომ გათხოვება - დაქორწინება ბატონის უნებურად არ შეიძლებოდა. ვიზედაც ბატონი მოინდომებდა, იმას უნდა მისთხოვებოდა გლეხის გოგო, ან ის უნდა შეეკრთო სოფლის ბიჭს, ვისაც ბატონი ამოურჩევდა.

ბატონ-ყმობა საერთო მოვლენაა. დასავლეთ ევროპაშიაც იყო ეს ინსტიტუტი. სისასტიკე და სიმკაცრე იქაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო ბატონ-ყმობის დროს, ასე რომ რუსეთის ბატონ-ყმობა არაფერს განსაკუთრებულ მოვლენას არ წარმოადგენს. სათქმელი მხოლოდ ისაა, რომ დასავლეთ ევროპაში უფრო ადრე შეიგნეს ამ ინსტიტუტის მავნებლობა და უკულმართობა, ვიდრე რუსეთში. მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს იქ ბევრგან გადავარდა ბატონ-ყმობა და თუ თითო-ოროლა ალაგას დარჩა, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისშივე ბოლო მოუღეს და მოსპეს მისი არსებობა.

ბატონ-ყმობა დიდად უშლიდა ხელს ქვეყნის განვითარებას, წინსვლას, ვაჭრობა-მრეწველობის აყვავებას და ამისათვის ევროპა შრომასა და მეცადინეობას არა ზოგავდა მის ამოსაფხვრელად. განათლებულ და წარმართ მთავრობას ესაჭიროება თავისუფალი, გამჭრიახი და თამამი მოქალაქე. ლაჩარი მონა მოქალაქე, ღარიბ-ღატაკი, აკონკილ-დაბრანძული და მშიშარა, როგორც კურდღელი,—რისა ქნისია. თავისთავისთვის რომ უვარგისია ასეთი მოქალაქე, სახელმწიფოს რალაში გამოადგება. ბატონ-ყმობა ხეირს არც თვითონ ბატონს აყრიდა, რადგან ზნეობრივად ყვრნიდა და აძაბუნებდა. მონობით მოწამლულ და მოშხამულ ჰაერში დაბადებული და აღზრდილი აზნაური ისეთივე გლახა მოქალაქეა, როგორც თვით მონა და ყმა.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში რუსეთშიაც შეუდგნენ დიდის მხნეობით მამულისშვილნი ამოეგდოთ ადამიანის ღირსების შემლახველი და სახელმწიფოს ჯან-ღონის გამომლეველი ბატონ-ყმობა. კეთილშობილი მეცადინეობა მამულიშვილთა ბატონ ყმობის მოსასპობად არ შეწყვეტილა იმპერატორ ალექსანდრე პირველის და იმპერატორ ნიკოლოზ პირველის მეფობაში, მაგრამ სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო მათმა მეცადინეობამ. ამავე დროს გლეხ - კაცობა ღელავდა, ზოგან აჯანყებასაც ახდენდა. ხთავრობა კიდევ სასტიკის ღონისძიებით აკრობდა და აწყალებდა გლეხთა მოძრაობას.

ყირიმის ომმა საბოლოოდ დაარწმუნა რუსეთის მთავრობა, რომ

ბატონ ყმობაზე აშენენებული სახელმწიფოს წესწყობილობა მკვიდრი არ არის და თუ მალე არ გადავარდა ბატონ-ყმობა და ახალი ცხოვრება არ მიენიჭა ერს, ადვილად შეიძლება ფინანსიურად გაკოტრდეს ქვეყანა და მთლად დაიფუშოს ეს უზარ-მაზარი სახელმწიფო.

ტახტზე ავიდა თუ არა იმპერატორი ალექსანდრე მეორე, მხნედ შეუდგა ზრუნვას ბატონ-ყმობის მოსპობაზე. დიდ ხანს სწარმოებდა წინასწარი მუშაობა და გამოკვლევა იმისი, თუ რა საფუძველზე ააშენონ ბატო-ყმობის გადავარდნა. ზოგი მოღვაწე იმ აზრისა იყო, რომ გლეხებს მივანიჭოთ პირადი თავისუფლება, საოჯახო და სამოქალაქო უფლებანიო, ხოლო მამული, რომელზედაც ბინადრობს ყმა-გლეხი, ძველებურად ბატონის საკუთრებად დარჩესო. ერთის სიტყვით ამ ჯურის მოღვაწეთ ჰსურდათ ისე ჩაეტარებინათ რუსეთში საგლეხო რეფორმა, როგორც ჩაიარა პალტიის ზღვის პირად მდებარე გუბერნიებში, სადაც გერმანელ ბარონებმა პირადი თავისუფლება მიანიჭეს ყმა-გლეხებს: ესტებს და ლატიშებს მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში და მამული-კი ბარონების საკუთრებად დარჩა. ეს მოღვაწენი ჰფიქრობდნენ, რომ თვით გლეხთა კეთილდღეობა მოითხოვს, რომ უმამულოდ განთავისუფლდნენ. ვისაც უნდა სოფლად მეურნეობა აწარმოვოს, ის ადვილად იშოვნის მამულს, იჯარით აიღებს მებატონისაგან იმ ფასად, როგორც შეთანხმდებიან მემამულე და იჯარადარი. საგლეხო რეფორმის მოღვაწეთა მეორე ჯგუფი იმ გზას დაადგა, რომ შეუძლებელია გლეხი გავანთავისუფლოთ ბატონ-ყმობისაგან და მკვიდრ საფუძველზე კი არ დავაყენოთ მისი ეურნეობაო. უმამულოდ განთავისუფლება გაამრავლებს ბოგანო ხალხს და აბა ასეთი ერი რა ხლესაყრელია სახელმწიფოსათვის, ამბობდნენ იგინი. გაპროლეტარებული გლეხი, როდესაც ფაბრიკა-ქარხნებში, მათის სიმცირის გამო, სამუშაოს ვერ იშოვნის, როგორ და რითი უნდა ემსახუროს სახელმწიფოს, ან თავის თავს; ცოლშვილთ როგორ შეინახამს და გამოჰკვებავსო. ამისათვის მეორე ჯგუფის მოღვაწენი იმ აზრისანი იყვნენ, რომ გლეხ-კაცობას უსათუოდ უნდა მიეზომოს ის სახნავ-სათესი, რასაც ბატონ-ყმობის დროს ამუშავებდა და ის სასახლ-კარო ადგილები, რომელზედაც სახლ-კარი ჰქონდათ აშენებული. ღალა ისევ ძველებური უნდა ყოფილიყო, სადაც ამ ღალას ფულად იხდიდნენ გლეხები. იქ-კი, სადაც გლეხები ბეგარაზე გადიოდნენ, ბეგარა უნდა მოსპობილიყო და შეეცვალათ განსაზღვრულ „ბროკით“.

გამარჯვებით მეორე აზრმა გაიმარჯვა და საგლეხო კანონებს საფუძვლად დაედო გლეხკაცობის განთავისუფლება მამულით და სახლ-კარით.

„ნადელად“ მიზომილი მამული ბატონის საკუთრებად რჩებოდა. „ნადელის“ დახსნის უფლებაც მიენიჭა ნაყმევს. ყიდვა შეიძლებოდა ორის გზით, ან საკუთარის ჯიბიდან უნდა ამოეღო გლეხს ფული და ისე დაეხსნა „ნადელი“, ან და მთავრობის დახმარებით. მამულის დახსნის შესაფერი კანონიც შეიმუშავეს და დაამზადეს, რომ ბატონ-ყმობის გადაკარდნის შემდეგ განთავისუფლებული გლეხი შესდგომოდა „ნადელის“ საკუთრად შეძენას ამ კანონის მიხედვით.

მესამე კანონი, რომელსაც „საზოგადო დებულებას“ ეძახიან, შეეხება სოფლის თვითმართველობას. ამ კანონის ძალით გლეხ-კაცობას ენიჭებოდა უფლება თვით-მართველობისა, ესე იგი ეძლეოდა უფლება გლეხობას დაეყოფილიყო სოფლის საზოგადოებად და „ვოლოსტებად“, შეკრებილიყო კრებაზედ თვის საქმეებზე მოსალაპარაკებლად და სოფლის მოხელეთა ასარჩევად: ვოლოსტის მამასახლისისა, სოფლის სტაროსტისა, ნაცვლებისა, მსაჯულებისა, ცხირ-იასაულებისა და სხვათა. სოფლისა და ვოლსტის ყრილობებს მიენიჭათ უფლება იზრუნონ სოფლის და ვოლოსტის კეთილდღეობაზე: გაიყვანონ გზები, გასჭრან არხები, ააგონ ხიდები, დამართონ სკოლები და გასწერონ ხარჯები ურთიერთ შორის ზემოდ ჩამოთვლილ საქიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ამ საფუძველზე აშენებულს საგლეხო კანონებს: საზოგადო დებულებას, (общее положеніе), „ნადელის გამოსყიდვის დებულებას (Положеніе о выкупѣ) და ადგილობრივ დებულებათ (мѣстныя положенія) ალექსანდრე მეორემ მოაწერა ხელი, 19 თებერვალს 1861 წ. ამავე დღეს იმპერატორმა მოაწერა ხელი მინიფესტს და აუწყა რუსეთს და მთელს ქვეყანას, რომ რუსეთში ბატონ-ყმობა გადავარდაო. განთავისუფლებულ გლეხს მიენიჭა თავისუფლება როგორც პირადი და საოჯახო, აგრედვე სამოქალაქო. ერთის სიტყვით. 19 თებერვლიდან რუსის დამონებული გლეხ-კაცი შეიმოსა სრულის სამოქალაქო უფლებით, წელში გასწორდა, თავი მაღლა აიღო და იმედი ჩაესახა, რომ ამ შესანიშნავ დღიდან მის ადამიანობას ველარავინ შელახავდა.

რუსეთს განათლებული საზოგადოება დიდის სიხარულით და ზეიმით მიეგება 19 თებერვლის მანიფესტსა და ქება-დიდებით იხსენიებდნენ. მეფე ალექსანდრე მეორეს მთავრობას ეშინოდა, ვაი თუ გულმოკლულმა და დაზარალებულმა თავად-აზნაურობამ რაიმე უწესობა მოახდინოსო და რომ აუტკივარი თავი არ აეტკივებინა, მოემზადა, —თუ ვინიცობაა სადმე იფეთქებდა ამბოხება, მაშინკე ჩაენელებინა. მთავრობის შიში არ გამართლდა. თავად-აზნაურობამ ადვილად აიტანა დიდებული რეფორმა. მეფის ბრძანების წინაშე მორჩილებით დახარა თავი და არსად უწესობის ნასახსაც არ უჩენია თავი. სათქმელი ისიცაა, რომ საგლეხო რეფორმის განხორციელებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ნასწავლს და განათლებულს თავად-აზნაურობას.

თვით განთავისუფლებული გლეხობა ვერ იყო კაი გუნებაზედ. მართალია, დიდად უხაროდათ, რომ მეფემ დაამსხვრია საუკუნო მონობის ჯაჭვი, მაგრამ 19 თებერვლის მანიფესტით გული ჰქონდათ ნატკენი. რუსის გლეხი უფრო მეტს მოელოდა. იმის ოცნებაში იყო, რომ აი დღეს, აი ხვალ ველირსებით „თავისუფლებას“ და „მიწაც“ ჩემს ხელში გადმოვაო. 19 თებერვლის მანიფესტმა კი უსასყიდლოდ, უფასოდ ბატონის მამული არ გადასცა. ფულით უნდა შეეძინა ეს მამული თუ მოისურვებდა მის დასაკუთრებას. ცოტა არ იყოს იმედის გაცრუებამ ეპვები დაუბადა გლეხებს და იფიქრეს—ალბად მოხელეებმა დამალეს სიმართლეო და ბევრგან აჯანყდნენ. აჯანყება-ამბოხება მთავრობამ ადვილად ჩაანელა. საგლეხო კანონები ნელ-ნელა ცხოვრებაში შეიტანეს და მალე რუსეთის ცხოვრებამ ფერი იცვალა.

1881 წლამდე გლეხ-კაცობა ნება-ყოფლობით ყიდულობდა „ნადელში“ მიზომილ მამულს, ხოლო ამ წელს მთავრობამ იძულებით დაახსნევინა „ნადელი“. რაც გადუხდელი ვალი ჰქონდა რუსის დროებით-ვალდებულ გლეხს, ხელმწიფე ნიკოლოზ მეორემ აპატივმა 3 ნოემბერს 1905 წ. ამ უმაღლესის ბრძანების ძალით ეპატივათ საუფლისწულო, ნაბატონარს და სახაზინო გლეხს სახელმწიფო ვალი არა ნაკლებ ათასის მილიონის მანათისა, ანუ ერთის მილიარდისა. მარტო ნაბატონარ გლეხობას რუსეთის შიდა გუბერნიებში დღეს საკუთრებად ეკუთვნის 66 მილიონი დღიური მიწა.

ალ. ყიფშიძე.

1861 წლის 19 თებერვლის საგლეხო რეფორმა

ალექსანდრე მეორეს ტახტზე ასვლის შემდეგ რუსეთის საზოგადოებაში მძლავრად იფეთქა ცხოვრების განახლების სურვილმა. თითქოს რუსეთმა თავი დააღწია ხანგრძლივ ლეტარგიულ ძილს, თითქოს გაჰქრა ის მოჯადოებული წრე, რომელშიაც საზოგადოების მოწინავე ნაწილს მოქმედების ყოველივე სახსარი მოსპობილი ჰქონდა: ყველგან რეფორმების მოხდენის აუცილებლობას აღიარებდენ, იმ ღრმა იმედით განმსჭვალულნი, რომ თვით ალექსანდრეს სურვილს აცხოველებს წრფელი რწმენა მათი დაუყოვნებლივ მოხდენისაო. ფილოსოფიური, პოლიტიკური და ეკონომიური საკითხები გადაიქცენ მსჯელობის საგნად. ახალი იდეები მძლავრად იკაფავდა გზას. ევროპიელ მეცნიერთა მრავალი თხზულებანი ითარგმნებოდენ რუსულ ენაზე და ახალი ჟურნალ-გაზეთები ვრცელდებოდა. სალონებსა, საგუბერნიო კომიტეტებსა და ლიტერატურაში გაჩაღდა კამათი; ყოველივე ახალი, კეთილშობილური, წინასწარ სიამოვნებას განიცდიდა რეფორმათა მოლოდინში; მის წინააღმდეგ ამხედრებულიყვნენ: რუტინა, ეგოიზმი, მექრთამეობა და ძალმომრეობა. ერთი სიტყვით, რუსეთის ხალხის ცხოვრებაში რამოდენიმე წუთით შუქის მრფქვეველი სხივები შეჭრილიყვნენ და ღრმად დაავადებულ ხალხის გულში იმედი გაეცისკროვნებინათ.

იმ რეფორმათა შორის, რომელთაც რუსეთის ხალხი ასე გულისფანცქალით ელოდებოდა, პირველი ადგილი ბატონყმობის მოსპობას ეჭირა. რუსეთის საზოგადოების მოწინავე ნაწილი ნათლად ხედავდა, თუ ქვეყანას რა შემაფერხებელ ინსტიტუტს წარმოადგენდა ბატონ-ყმური დამოკიდებულება; ამისათვის იგი მას ვერ ურიგდებოდა და შეძლებისა და გვარად მის წინააღმდეგ ილაშქრებდა. რუსულ ლიტერატურის წარჩინებულ წარმომადგენელთაც შეიტანეს თავისი წვლილი გლეხთა განთავისუფლების განხორციელებაში. აქ ადგილი არ არის ვრცლად შევეხოთ იმ ღვაწლს, რომელიც რუსეთის ლიტერატურას ამ საქმეში მიუძღვის; მოვიყვანთ მხოლოდ ორიოდე მაგალითს: მოვიგონოთ ა. ს. პუშკინის ლექსი „სოფელი“ („Деревня“), გრიგოროვიჩის „ანტონ გორემიკა“ და ტურგენიევის „მონადირეს წერილები“ („Записки охотника“), რომელთაც ისეთივე ამაგი დასდვეს გლეხთა განთავისუფლებას რუსეთში, როგორც ბიჩერ-სტოუს რომანმა „ბიძია თომას ქოხმა“ ნეგრთა განთავისუფლებას ამერიკაში. აგრეთვე, ა. ი. გერცენის სამზღვარგარეთელ ჟურნალის „კოლოკოლის“ და მწერალ-ჟურნალისტების ნ. გ. ჩერნიშევსკისა და ნ. ა. დობროლიუბოვის, რომელნიც ჟურნალ „სოვრემენნიკში“ თანამშრომლობდენ,—ამათი ღვაწლი გლეხთა განთავისუფლების საქმეში ფასდაუდებელია. აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე მეორის მეფობის პირველსავე წელიწადს დიდი მთავრის მიხეილ პავლეს ძის ქვრივმა, ელენე პავლეს ასულმა, განვითარებულმა და ყოველივე წინმსვლელობის გულწრფელმა მომხრემ, წარუდგინა ხელმწიფეს ნ. ა. მიღიუტინისაგან შედგენილი პოლტავის გუბერნიის თავისი ათი მამულის თუთხმეტი ათას ოთხასი სქესის გლეხთა განთავისუფლების შესახებ დაწვრილებითი პროექტი.

1858 წელს საბატონო გლეხთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დაარსებული საგუბერნიო კომიტეტები რუსეთის ყველა გუბერნიებში დაინიშნენ; გაიმართა მწვავე კამათი, რომელმაც მთელი ქვეყანა შეანძრია; დაიბადა მოთხოვნილება მცოდნე პირებისა, რომელთაც რთულ ეკონომიურ საკითხების გარკვევა და პოლიტიკური მომენტის დაფასება შესძლებოდათ. მთელი მხარე საერთო ფერხულში ჩაება, ყველას განახლება სწყუროდა. „ყოველი მხრიდან იდეები და ნათელი შეხედულებანი თან და თან აძევებენ ძველ რუტინას,—სწერს რუსეთის „პოსლანნიკი“ ვენაში გრაფ ბალბინი კისელოვს,—არამც თუ პეტერბურგში შეიცვალნენ საუკეთესოთ ცნებანი (понятія), არამედ ყველგან, თითქმის გლეხთა ქოხებშიაც, რომელნიც დარწმუნებულნი არიან, რომ ახლო მომავალში მათი ხვედრი შეიცვლება“ *) 8 იანვარს 1858 წელს საგლეხო საქმეთათვის ალექსანდრეს მიერ დაარსებულ „საიდუმლო კომიტეტი“ **) მთავარ კომიტეტად იქმნა გადაკეთებული, რომელთანაც 4 თვის შემდეგ საგუბერნიო კომიტეტთა პროექტების განსახილველად კომისსია იქმნა დაარსებული. 7 თვის შემდეგ ეს კომისსია „სარედაქციო კომისიად“ გარდიქმნა.

1859 წლის 4 მარტიდან ყველა საქმეები საგლეხო რეფორმების შესახებ სარედაქციო კომისსიას გადაეცა. სარედაქციო კომისსია ვალდებული იყო, გაცნობილიყო საგუბერნიო კომიტეტთა მიერ შედგენილ საგლეხო რეფორმის პროექტებს და მათგან საჭირო ცნობანი ამოეკრიფათ კომისსიის პირველ სხდომაზე მხოლოდ ათი კაცი შეიკრიბა; თავჯდომარე გენერალ ადიუტანტმა როსტოვცევმ სხდომის შემდეგ სიტყვებით მიმართა: „შეიძლება ჩვენ სხვა და სხვა აზრისა და შეხედულებისანნი ვიყვნეთ, შეიძლება, ჩვენ შორის ცხარე კამათი და უთანხმობა იყოს მოსალოდნელი, ამისათვის ჩვენ ვალდებულნი ვართ წინ და წინვე ვაპატიოთ ერთმანეთს შეურაცყოფა, თუ ჩვენში რაიმე უსიამოვნება ჩამოვარდება. მე პირველი ეხლავ პატიებას ვითხოვ, თუ უნებლიეთ ერთი სიტყვითაც ვინმეს შეურაცყოფას მივაყენებ***)“. მეორე დღეს კომისსიის წევრნი ხელმწიფეს წარუდგნენ. ალექსანდრე II ოთახის შუა გულში გამოვიდა და აღელვებულის ხმით შემდეგი სთქვა:

„მე მხოლოდ კეთილი მსურს რუსეთისთვის. თქვენ მოწოდებული ხართ ძნელი საქმის აღსასრულებლად. მე შევძლებ, დავაფასო თქვენი შრომა... მე მრწამს, რომ თქვენ ისე გიყვართ რუსეთი, როგორც მე და იმედი მაქვს ყოველთვის კეთილსინდისიერად შეასრულებთ ამ მძიმე საქმეს და გაამართლებთ ჩემს თქვენდამი ნდობას... ღმერთი შეგეწიოსთ ამ ძნელ საქმეში და მე კი არ დაგივიწყებთ“.**) უმაღლესი ბრძანებით გადაწყვეტილი იყო ორი სარედაქციო კომისსის დაარსება: ერთს საერთო საგლეხო დებულებათა პროექტი უნდა შეედგინა, მეორეს კი ადგილობრივ დებულებათა პროექტი. სარედაქციო კომისსიის პირველსავე მუშაობის დროს დამტკიცდა, რომ ასეთი განაწილება კომისსიის საერთო მოქმედებისათვის მავნებელი იყო და უმაღლესივე ბრძანებით, საჭირო დროს კომისსია ერთად უნდა შეერთებულიყო. ისე კი 4 ნაწილათ იყოფოდა: იურიდიული, რომელსაც ყმათა და შინა ყმათა უფლება უნდა გამოერკვია, ადმინისტრაციული, რომელსაც გლეხთა შინაგანი წყობილება უნდა ადგენაშნა, სამეურეო, რომელსაც გლეხთა ვალდებულებანი უნდა დაენიშნა და ფინანსიური, რომელსაც ვალად ედვა გლეხთა მიერ ნადელების გამოსასყიდლად საჭირო ფულის აღმოჩენა. სარედაქციო კომისია, როსტოვცევის თავჯდომარეობით, 30 წევრისაგან შესდგებოდა, რომელთაგან მილიუტინი, ჩერკასკი, სოლოვიოვი და იური სამხინი მომხრე იყვნენ გლეხთა მიწით განთავისუფლებისა.

პირველათ კომისიამ უდიდეს ნადელად სულზე 4—4½ დესეტინა დაიწესა და მას შეუსაბამა ვალდებულებათა სირთულე, რომელიც ნადელების გადიდებასთან ერთად იზრდებოდა. როდესაც სარედაქციო კომისსიამ წინასწარი პროექტი საგლეხო რეფორმისა შეადგინა, პეტერბურგში მოწვეულ იქმნენ დეპუტატები საგუბერნიო კომიტეტთა, არა მარტო უმრავლესობის, არამედ უმცირესობის მხრივაც; მათ უფლება ჰქონდათ თვისი აზრი გამოეთქვათ მხოლოდ სარედაქციო კომისსიის მიერ შედგენილ პროექტის ადგილობრივ პირობებთან შეთანხმების შესახებ. პირველული მოწვევის (пер. созывъ) დეპუტატები დიდ უკმაყოფილებას აცხადებდენ და მზად იყვნენ ხელმწიფისათვის ადრესი მიერთმიათ, რომელშიაც მთავარ კომიტეტში სარედაქციო კომისსიის მიერ შედგენილ პროექტის განხილვაში მონაწილეობის უფლება უნდა ეთხოვათ. მათ შორის მხოლოდ 18 გაბედა და ითხოვა, ნება მისცემოდათ, წარედგინათ მთავარ კომიტეტში თვისი მოსაზრებანი სარედაქციო კომისიის შრომის შესახებ, მაგრამ დეპუტატები მალე დათხოვნილ იქმნენ. მიუხედავად ამისა, სარედაქციო კომისია კომპრომისების გზას დაადგა და ნადელი შეამცირა: ¼ დესიატინით 7 მაზრაში, ½ დეს.—25-ში და ¾ დ. და 1 დეს.—2 მაზრაში, სულ ნადელი შეამცირეს 52 მაზრაში.*) 1860 წელს მოკვდა როსტოვცევი და სარედაქციო კომისიის თავჯდომარედ გრაფი პონინი იქმნა დანიშნული, რომლის დროსაც კვლავ იქმნენ მოწვეულნი საგუბერნიო კომიტეტების, ეგრედ წოდებულ „მეორედ მოწვეული“ (вт. соз.) დეპუტატები. ამ შემთხვევაში უფრო მეტი უთანხმოება ჩამოვარდა კომისსია და დეპუტატებს შორის, რადგან უკანასკნელნი წინაალმდეგნი იყვნენ, როგორც გლეხთა მიწით განთავისუფლებისა, ისე საგლეხო თემთა და სასოფლო საზოგადოებათა დაარსებისა.

1860 წლის ოქტომბრის 10 საგლეხო რეფორმის დებულებანი სარედაქციო კომისიიდან მთავარ კომიტეტში იქმნა წარდგენილი. კომიტეტის თავჯდომარე, დიდი მთავარი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე, მხურვალე მომხრე იყო სარედაქციო კომისიის მიერ შედგენილ საგლეხო რეფორმისა. 14 იანვარს მთავარმა კომიტეტმა დაასრულა თვისი მუშაობა, და საგლეხო რეფორმის უკანასკნელ ინსტანციას სახელმწიფო საბჭოს წარუდგინა. წევრებს 13 დღე მიეცათ, რათა გასცნობოდენ: ა) სარედაქციო კომისიისაგან შედგენილ პროექტს და ბ) მთავარ კომიტეტის ამის შესახებ ჟურნალს.

28 იანვარს ალექსანდრე II სახელმწიფო საბჭოს სხდომა გახსნა და შესაფერისი სიტყვით მიჰმართა კრებას. საბჭოს სხდომებმა გრაფ ბლუდოვის თავჯდომარეობით ორ-კვირა ნახევრამდის გასტანა. საგლეხო რეფორმის პროექტმა საბჭოში შემდეგი ცვლილება განიცადა: ა) უმეტეს ადგილებში შემცირებულ იქმნა ნადელის maximum და შესაფერისათ შემოკლებულ იქმნა ნადელის minimum და ბ) შემოღებულ იქმნა, ეგრედ წოდებული, „ჩუქებითი“ ნადელი (Дарственный надѣлъ). 17 თებერვალს მოხდა უკანასკნელი სხდომა სახელმწიფო საბჭოსი, ხოლო 19 თებერვალს სახელმწიფო მდივანმა ბუტკოვმა, საგლეხო რეფორმის პროექტი, მოსკოვის მიტროპოლიტის ფილარეტის მიერ შედგენილი, ხელმწიფეს მიართვა ზამთრის სასახლეში. ალექსა[illegible] დრო მეორემ დაიტოვა პროექტი [illegible] როცა მარტო დაარჩა, ხელი მოაწერა.

1869 წლის მეორე ნახევრიდ[illegible] რუსეთის მმართველობამ თავისი [illegible] ქმედების კურსი შესცვალა, იგი თ[illegible] და თან რეაქციისაკენ მიექანებოდ[illegible] და როგორც „გაზეფხულის“ გაგ[illegible] ნა პირველად პრესამ განიცადა, [illegible] რეაქციის რისხვაც პირველად მ[illegible] დიატყდა თავს. რეაქციამ ყმათა გა[illegible] თავისუფლების დიდებულ რეფორ[illegible] მასაც თავისი დაღი დაასო და ფრთ[illegible] ბი შეაკვეცა.

19 თებერვლის საგლეხო დებ[illegible] ლებიდან ექვს უმთავრეს მუხლს მ[illegible] ვაქცევთ ყურადღებას:

1) მიწის გამოსყიდვამდის გლ[illegible] ბი ვალდებულნი იყვნენ ესარგებ[illegible] ნათ იმ მიწით, რომელიც ბატო[illegible] ყმობის დროს ეჭირათ და რომლ[illegible] თვისაც გადაწყვეტილი გადასახად[illegible] უნდა ეძლიათ მებატონეთათვის, ამ[illegible] სათვის გლეხებს „დროებით ვალდ[illegible] ბულნი“ დაერქვათ. ასე დაკანონ[illegible] დროებითი „გარდამავალი დრ[illegible] (Переходное время); 2). 19 თებერ[illegible] ვლის დებულებაში ნათლად იყო გ[illegible] რკვეული, ყოველ გუბერნიისათ[illegible] ცალკე, სამოსახლო (Усадьбы) [illegible] მოსასყიდი ფასი, ხოლო სახნავ-სათ[illegible] სისა, სამალახოსა და ტყის სარგებ[illegible] ლობისათვის ფასი მებატონესა [illegible] გლეხთა თავისუფალ შეთანხმებ[illegible] იყო დამოკიდებული; 3) დებულებ[illegible] აღნიშნულია ნადელის რაოდენ[illegible] ბაც; თვითეულ გუბერნიაში არსებ[illegible] ნადელის maximum-ი და minimum-[illegible] სახელმწიფო საბჭომ სარედაქც[illegible] კომისიისაგან გადაწყვეტილი ნად[illegible] ლი კვლავ შეამცირა: ¼—⅓ [illegible] სიატინით 42 მაზრაში, 1—2 [illegible] 4-ში და 3—3½ დეს. 4 მაზრაშ[illegible] ასე რომ განთავისუფლების შემდ[illegible] ორ დესიატინიანი ნადელი მიე[illegible] მხოლოდ ერთ მეოც-და-მეხუთე ნ[illegible] წილს მთელს საბატონო გლეხებ[illegible] სას, ე. ი. 23 მილიონ განთავისუფ[illegible] ლებულ გლეხთაგან სულ რამოდ[illegible] ნიმე ათასს, დანარჩენებმა კი ო[illegible] დესიატინაზე ნაკლები ნადელი მი[illegible] ღეს; მაგალითად ვორონეჟისა [illegible] პენზენის გუბერნიებში გლეხობ[illegible] თითქმის ერთ მეხუთედს ერთ დ[illegible] სიატინაზე ნაკლები მიეცა; *) გარ[illegible] და ამისა დებულება ნებას აძლევდ[illegible] მებატონეებს მიეცათ გლეხებისათვის [illegible] ეგრედ წოდებული, „ჩუქებითი“ ნ[illegible] დელი (дарственный надѣлъ); ამ უ[illegible] ლებით ისარგებლეს განსაკუთრები[illegible] ზოგიერთმა მსხვილმა მემამულეებ[illegible] მა; 4) საკითხი გლეხთა მიწათ-მფლო[illegible] ბელობისა—ერთ მწვავე საკითხს შ[illegible] ადგენდა იმ დროს: ზოგს სათემ[illegible] მფლობელობა, ბატონ-ყმობისაგ[illegible] მემკვიდრეობით გადმოცემული, მ[illegible] წებლათ ეიაჩნდა ახალ თავისუფ[illegible] პირობებში და მის მოსპობასა [illegible] კერძო მფლობელობის შემოღებ[illegible] თხოულობდა, ზოგი კი სათემო [illegible] წად-მფლობელობას ერთ საუკეთ[illegible] სო საშუალებად სთვლიდა. 19 თ[illegible] ბერვლის დებულებამ სათემო [illegible] კერძო მფლობელობაც დასტოვა. [illegible] საკითხი ჩვენს დროსაც აღიძრა [illegible] როგორც ვიცით 9 ნოემბრის 190[illegible] წლის უქაზის ძალით, რომელ[illegible] სახელმწიფო სათათბიროსა და სა[illegible] ჭოს მიღების შემდეგ, 1910 წელ[illegible] კანონის სახით იმოსება, გლეხებ[illegible] უფლება მიეცათ, მოსთხოვონ [illegible] სოფლო საზოგადოებათ სათემო [illegible] წადან თვისი ნაწილის გამოყოფ[illegible] ამნაირად ირღვევა სათემო [illegible] წად-მფლობელობა და ვითარდ[illegible] წვრილ მესაკუთრეთა კლასი; ნ) [illegible] ხუთე მუხლი—გლეხთა მიწით [illegible] რუნველყოფას, ანუ გამოსასყიდ[illegible] ოპერაციას შეეხება. რადგან გლ[illegible] ხებს ნადელის გამოსასყიდი ფ[illegible] ლი არ ჰქონდათ, მთავრობამ მთ[illegible] გამოსასყიდ ჯამის დასაფარავ[illegible] განსაკუთრებული პროცენტიანი [illegible] ღალდები გამოუშვა, რომლითა[illegible] თავად-აზნაურობა დააკმაყოფილ[illegible] ხოლო გლეხობა კი ვალდებულ[illegible] იყო ეს „გამოსასყიდი გადასახად[illegible]

*) об. Реф. Ал. II и ихъ суд. Титовъ стр.—24.

**) Высочайше утвержденный комитетъ. об. Ръчь Ал. II. „Вѣст. Евр.“ 1881 г. „Зап. Гр. Кисел.“ II стр. 1—4.

***) об. „Паден. крѣп. пр. въ Россіи“, Иванюкова.

**) ibid.

*) об. „Реф. Ал. II и ихъ судь. Титов.

*) ibid.

(выкуп. платежъ) 40½ წლის განმავლობაში აენაზღაურებინა ხაზინისათვის. შემდეგ ეს ვადა გადიდებულ იქმნა, ასე რომ 1932 წელს უნდა სრულიად დამთავრებულიყო მთელი გამოსასყიდელი ოპერაცია, მაგრამ სულ რამოდენიმე წლის წინად უმაღლესი მანიფესტით რუსეთის გლეხობას სრულიად ეპატია მათზე დარჩენილი გადასახადები. 6) 14 თებერვლის საგლეხო რეფორმის ძალით განთავისუფლებულ გლეხობას მიეცა წოდებრივი თვითმმართველობა, სასოფლო ყრილობისა და მის მიერ არჩეულ მამასახლისის მეთაურობით. სასოფლო საზოგადოებათა ვალდებულებაა სხვა და სხვა გადასახადთა განაწილება და შეგროვება და გლეხთა შინაგანი წყობილების მოწესრიგება, რამოდენიმე სასოფლო საზოგადოებანი „ვოლოსტად“ ერთდება, რომლის სათავეში „ვოლოსტის“ მამასახლისი, ყრილობა და ამორჩეული სამოსამართლო სდგას.

19 თებერვლის უმაღლესი მანიფესტი 5 მარტს იქმნა გამოცხადებული პეტერბურგსა და მოსკოვში; ხოლო სხვა ადგილებში კი უფრო გვიან. პეტერბურგში მანიფესტი თვით ალექსანდრე მეორემ წაიკითხა. „პირველი გადაიწერე მართმადიდებელო რუსის ხალხო, და მოიწოდე ღვთის კურთხევა შენს თავისუფალ შრომაზეო“, ამბობდა მანიფესტი. ხალხმა ქუდები მოიხადა, მაგრამ „ურას“ ძახილი ვერ გაბედა, რადგან პოლიციისაგან ნებართვა არ იყო.

ამგვარად განხორციელდა რუსეთის ხალხის ცხოვრებაში ერთი უდიდესი რეფორმა. 19 თებერვალი სადღესასწაულო დღედ შეიქმნა მთელი რუსეთის გლეხობისათვის; ამ დღეს ჩაიყარა პირველი საძირკველი ბატონ-ყმურ დამოკიდებულების დაბეჩავებულ გლეხთა პოლიტიკურად სხვა წოდებასთან გათანასწორებისა; 19 თებერვალს თან მოჰყვა სახელმწიფოს სხვა და სხვა დაწესებულებათა განახლება, რომელთა ძველებურად არსებობაც ბატონყმობის კეთილშობილებამ შეუძლებლად გახადა. თუ რა მნიშვნელოვანია 19 თებერვლის დღე, ამას ისიც ამტკიცებს, თუ რა დღესასწაულის სახით ეგებება მას 50 წლის თავზე მთელი რუსეთი.

სანამ საგლეხო რეფორმა მზადდებოდა, გლეხები განსაცვიფრებელ თავშეკავებასა და სიწყნარეს იჩენდნენ. მანიფესტის გამოცხადებამ კი საერთო აღფრთოვანება გამოიწვია, ათასი წლობით ბატონ ყმობის უღელქვეშ გატეხილი გლეხ-კაცობა მონურ ბორკილების დამსხვრევას დღესასწაულობდა, როგორც აღდგომას. როგორც მორწმუნენი უმაღლესი რელიგიოზურ გრძნობით გაბრწყინვებულნი ურთი-ერთს ძმურის კოცნით „ქრისტე აღსდგას“ ულოცავენ, ისე ბატონ ყმობისაგან მრავალტანჯული გლეხობა ერთმანეთს მონურ ჭედისაგან თავის დახწევას ახარებდა.

მაგრამ დიდხანს არ გასტანა ამ საერთო აღფრთოვანებამ: სინამდვილემ მოლოდინი არ გაამართლა. 19 თებერვალმა თუმცა ბევრი რამ ახალი შეიტანა გლეხ-კაცობის ცხოვრებაში, თუმცა 23 მილიონი გლეხობა „აღამიანის“ უფლებებით აღიჭურვა, მაგრამ არსებითად ორი წლის განმავლობაში ყოველივე ძველს მდგომარეობაში დარჩა: ამ ხნის განმავლობაში გლეხები „დროებით ვალდებულად“ (временно-обязанные) ითვლებოდენ და არამც თუ ასრულებდენ მებატონისადმი ძველ ვალდებულებათა, არამედ ხშირად სხეულით დასჯასაც ჰქონდა ადგილი მათს ცხოვრებაში. „ხალხის ცხოვრებას გარს შემოახვიეს მთელი ამფითეატრი უმფროსებისა,—სწერს ნ. ა. სერნოსოლოვიევიჩი,—რომელშაც თვითეულს, მამასახლისიდან დაწყებული საგუბერნიო საკრებულომდე, შეუძლიან ხელი შეუშალოს ხალხის ძალების ნორმალურ განვითარებას. განსაკუთრებითი ბატონური მართველობა ბატონ-ყმობის დროისა ჩინოვნიკურ-ბატონურ მართველებად შეიცვალა.*) ყოველივე ეს სრულებით აქარწყლებდა გლეხთა მოლოდინს, რომელთაც ისედი ჰქონდათ, რომ, არამც თუ გაანთავისუფლებდენ მებატონებისადმი ვალდებულებათა აღსრულებისაგან, არამედ თვალი მიწაც მათ დარჩებოდათ. მმართველ წრეებში წინდაწინვე დარწმუნებულნი იყვნენ გლეხთა მიერ მანიფესტის არა-სასურველ შეხვედრაში და ამისთვის წინდაწინვე იქმნა ზომები მიღებული.

ალექსანდრე მეორე თავის ფლიგელ ადიუტანტებსა და გენერალ მაორებს ჰგზავნის პროვინციებშიადგილობრივ მთავრობათა დასახმარებლად, უმაღლესი მანიფესტის გამოცხადების დროს წესიერების დაცვაში. მთელს რუსეთში ერთი კუთხე არ დარჩენილა, სადაც გლეხობას თავის უკმაყოფილება საგლეხო რეფორმის შესახებ არ გამოეთქვას. გლეხებმა ეკვი შეიტანეს, ალბად მებატონეებმა და ჩინოვნიკებმა დამალეს ხელმწიფის ნამდვილი სურვილია და სწორედ ამ ნიადაგზე აგორდა ტალღა გლეხთა მღელვარებისა, რომელის რიცხვი 1861 წლის 19 თებერვლიდან 1683 წლის 19 თებერვლამდე 1200-დის ავიდა.**)

ალ. წერეთელი.

*) იხ. Осв. дв. въ цар. Ал. II, Барривъ ბბ. 19—20.

**) Реф. въ цар. Ал. II и ихъ судьб. Титов.

გლეხთა განთავისუფლების საკითხი სახელმწიფო საგჯოლში 1861 წელს *)

სანამ პროექტი გლეხთა განთავისუფლებისა კანონად იქცეოდა, მან ბევრნაირი დაწესებულება გაიარა, და მის შემუშავებაზე ბევრი წინასწარი შრომაც დაიხარჯა. ალ. პოპელნიცკის წერილი, რომლის შინაარსსაც მოკლედ გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს, ეხება საგლეხო რეფორმის საკითხს სახელმწიფო საბჭოში, რომელიც 1861 წლის 28 იანვრიდან 17 თებერვლამდე იხილავდა მას.

შავად დამუშავებული საკანონმდებლო დებულებანი გლეხთა განთავისუფლების კანონ-პროექტისა 1861 წლის 18 იანვარს უკვე მზად იყო. მაშინვე უწყებები დაეგზავნა კომიტეტების წევრებს, რომელნიც 28 იანვარს უნდა შეგროვილიყვნენ რეფორმის საბოლოოდ განსახილველად. სახელმწიფო საბჭოში შეტანილ იქმნა ორი პროექტი გლეხთა განთავისუფლებისა—უმთავრეს კომიტეტის უმრავლესობისა, რომელსაც 6 კაცი შეადგენდა, და უმცირესობისა, რომელიც 2 კაცისაგან შესდგებოდა. კრების გახსნისთანავე ალექსანდრე II თავის სიტყვაში კატეგორიულად მოითხოვა, რომ საკითხი გლეხთა განთავისუფლებისა საბჭოს აუცილებლად თებერვლის პირველს ნახევარში გადაეწყვიტა.

საბჭოც შეუდგა მუშაობას. პირველი ორი მუხლი პროექტისა შეუცვლელად მიიღეს. ამ მუხლებში აღნიშნული იყო საზოგადო დებულება, რომ გლეხები უნდა განთავისუფლდნენ ბატონ-ყმობიდან და სოფლის თავისუფალ მცხოვრებლებად შეიქმნენ. მაგრამ პროექტის მახლობელმა, 3—6 მუხლებმა, უკვე აზრთა სხვა და სხვაობა გამოიწვია. ამ მუხლთა ძალით გლეხებს უნდა მისცემოდათ მიწების ნაწილი. მათს მიღებამდე, სახელმწიფო საბჭომ საჭიროდ დაინახა გადაწყვეტა შემდეგი საკითხისა: ნადელის რაოდენობა თვით მთავრობამ უნდა გამორკვიოს თუ ეს უნდა მოსდეს გლეხებისა და მემამულეთა ნებაყოფლობითი შეთანხმებით. ამ საკითხმა საბჭოს წევრთა შორის უთანხმოება გამოიწვია. 16 წევრი იმის მომხრე იყო, რომ მთავრობას წინდაწინვე არ განესაზღვრა ნადელის რაოდენობა და ამის გამორკვევა თვით გლეხებსა და მემამულეთათვის მიენდო. მთავრობას მხოლოდ მაშინ უნდა აღემაღლა ხმა, თუ განსაზღვრულ ვადაში გლეხებსა და მემამულეთა შორის შეთანხმება არ მოჰხდებოდა; დანარჩენი 29 წევრი კი ამის წინააღმდეგი გახდა. საბუთად ის მოჰყავდათ, რომ მემამულენი, თქმა არ უნდა, ყოველ ღონის ძიებას იხმარებენ, რაც შეიძლება შეავიწროვონ გლეხები და ისეთს პირობებში შეათანხმონ, რანაირიც მხოლოდ მათთვის იქნებოდა სასარგებლო. ამას გარდა, კანონით განსაზღვრული რაოდენობა ნადელისა უფრო მეტს გარკვეულობას შეიტანს გლეხებისა და მემამულეთა ურთიერთობაში და არც რაიმე უსიამოვნებას დაჰბადებს. სახელმწიფო საბჭოს 29 წევრის აზრს ხელმწიფე მიემხრო, და ამნაირად საკითხიც გადასწყდა.

უთანხმოება დაჰბადა კიდევ შემდეგმა საკითხმა: უნდა გამორკვეს თუ არა ნადელის რაოდენობა ადგილობრივ დებულებებში? სახელმწიფო საბჭოს 19 წევრს შეუძლებლად მიაჩნდა ამ საკითხის მაშინვე გადაწყვეტა, რადგანაც, მათის აზრით, ხელში საკმაოდ ვრცელი და დასაბუთებული ცნობები არ ეჭირათ. ამიტომ ისინი თხოულობდნენ, რომ ნადელების რაოდენობა ადგილობრივ გამოერკვიათ საგუბერნიო საკრებულოებს. საბჭოს 17 წევრი ამის წინააღმდეგი გახდა იმ მოსაზრებით, რომ, ჯერ ერთი, საგუბერნიო საკრებულოში ვერ შეჰკრიფავდნენ იმაზე სწორე ცნობებს, რანაირიც უკვე ეჭირათ ხელში, მეორეც, ნადელების რაოდენობის გამორკვევა ადგილობრივ უეჭველია მიკერძოებას გამოიწვევს. ამიტომ 17 წევრს საჭიროდ მიაჩნდა, რომ დებულებაში წინდაწინვე განსაზღვრული ყოფილიყო რაოდენობა ნადელისა. ხელმწიფე უმცირესობის აზრს მიემხრო და ამით გადასწყდა, დებულებაში აღნიშნულიყო რაოდენობა ნადელისა.

სანამ ბატონ-ყმობა არსებობდა, სასოფლო გამარტივებულ სასამართლოს არსებობა საჭირო არ იყო, განთავისუფლების შემდეგ ეს საკითხი თავის თავად დაიბადებოდა. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ 1861 წელს სახელმწიფო საბჭო ამ საკითხსაც შეეხო. უპირველესად ყოვლისა საბჭოს საჭიროდ მიაჩნდა გადაწყვეტა შემდეგი საკითხისა: საჭიროა თუ არა სამეურნეო ხასიათის სასოფლო საზოგადოებათა „ვოლოსტებად“ შეერთება, თუ თვითეული სოფლის საზოგადოება ერთს ადმინისტრატიულ ერთეულს უნდა წარმოადგენდეს. საბჭოს ოცდაერთ წევრმა ის აზრი გამოსთქვა, რომ „ვოლოსტების“ დაარსება გლეხთა განთავისუფლებასთან არ არის დაკავშირებული. ვოლოსტების დაარსებით, ამ ოცი წევრის აზრით, სოფელში დემოკრატიული ცვლილება მოხდება, რაიკი მაშინ დელ პირობებში სასარგებლოდ არ მიაჩნდათ საბჭოს 25 წევრის აზრით სასოფლო საზოგადოებათა სამეურნეო და საპოლიციო თვით-მმართველობათა დაარსება ლოგიკურად მოსდევდა გლეხთა განთავისუფლება. მაგრამ რადგანაც ზოგიერთი სოფლის საზოგადოებანი ძალიან პატარანი იყვნენ, და ხარჯები მძიმე უღლად დააწვებოდა მათ, საბჭოს 25 წევრმა შესაძლებლად დაინახა წმინდა სამეურნეო ხასიათის საქმეები სოფლის საზოგადოებისთვის დაეკისრათ, ადმინისტრატიული, საპოლიციო და სამოსამართლო საქმეები კი—სოფლის საზოგადოებისგან შემდგარ „ვოლოსტებს“. ხელმწიფეც ამ აზრს მიემხრო.

ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ ადიძრა კიდევ ახალი საკითხი; საჭიროა თუ არა, რომ სასოფლო საზოგადოებათა მოქმედების თვალყურის სადევნელად დაარსდეს ახალი თანამდებობა სასოფლო მზრუნველისა. საბჭოს 15 წევრი იმ აზრისა იყო, რომ სასოფლო მზრუნველთა ინსტიტუტის შემოღება საჭიროა. გლეხთა განთავისუფლების პირველ ხანებშივე სრული თავისუფლების მინიჭება პროვინციალურს ადმინისტრაციას დაასუსტებს, ცენტრალური მთავრობა კი ჯეროვანის გულის-ყური ვერ ადევნებს თვალსაო. საბჭოს 30 წევრის აზრით კი სასოფლო მზრუნველთა ინსტიტუტის შემოღება სასურველი არ არის, უპირველეს ყოვლისა საჭირო გახდება ამ მზრუნველთა უფლებებისა და მოვალეობის განსაზღვრა, რაც დღევანდელს პირობებში ადვილი არ არისო. ამის გარდა ეს ინსტიტუტი პროვინციალურ ადმინისტრაციას კი არ გააძლიერებს, პირ-იქით, პოლიციასა და მომრიგებელ შუამავლებს ხელს შეუშლისო. ამ მოსაზრებათა ძალით 30 წევრი სახელმწიფო საბჭოსი წინააღმდეგი იყო სოფლის მზრუნველთა დაარსებისა. ხელმწიფე ამათ აზრს მიემხრო.

ამ რიგად გადასწყდა უმთავრესი დებულებანი გლეხთა განთავისუფლების პროექტისა. სულ სახელმწიფო საბჭოში 32 საკითხმა გამოიწვია უთანხმოება. აქედან ხელმწიფემ 15 უმრავლესობის აზრი დაამტკიცა, 16 უმცირესობისა, ერთხელ კი, როდესაც ხმები გაიყო, ხელმწიფემ თავისი სანქციით მისცა უპირატესობა.

30 იანვრიდან სახელმწიფო საბჭოს სხდომები გრაფ ბლუდოვის თავმჯდომარეობით ხდებოდა. ამ სხდომებზე საბჭოს წევრილმან საკითხების განხილვას შეუდგა. ყურადღების ღირსად უნდა ჩაითვალოს ერთი საკითხი: ვინ უნდა თავმჯდომარეობდეს მოსამართლეთა სიეზდზე, მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, თუ სხვა ვინმე. საბჭოს 24 წევრი იმ აზრისა იყო, რომ მაზრის წინამძღოლი უნდა თავმჯდომარეობდეს. თავად-აზნაურთა წინამძღოლი კარგად იცნობს ადგილობრივ პიროვნებს, ამასთანავე ის ყოველთვის ეცდება დაიცვას გლეხების ინტერესები. ესეც რომ არ იყოს, ამ რეფორმით თავად აზნაურობა ბევრს თავის უფლებებს ჰკარგავს, ამიტომ ამ ინსტიტუტით ცოტათი მაინც უნდა შევუნარჩუნოთ თავად-აზნაურობას დაკარგული გავლენაო. საბჭოს 19 წევრი კი წინააღმდეგს ამტკიცებდა. პირველ ხანებში გლეხებსა და თავად-აზნაურთა შორის ხშირად იქნება ხოლმე დავა და ამიტომ თავად-აზნაურობა როგორც დაინტერესებული მხარე, პირველ ხანებში მაინც, შორს უნდა იდგეს ამ დავიდანაო. აქ კი ხელმწიფემ პირველებს დაუჭირა მხარე, და პროექტის 99 მუხლი შეცვლილ იქმნა თანახმად 24 წევრის აზრისა.

საბჭომ ბევრი სხვა საკითხებიც განიხილა, მაგრამ პრინციპიალური მოსაზრებანი წინა სხდომებზე იქმნა განხილული. ხელმწიფე ყოველთვის უმრავლესობის აზრს არ ამტკიცებდა ხოლმე. მას, როგორც ეტყობა, შემუშავებული ჰქონდა საკუთარი გეგმა მოქმედებისა და საბჭოშიაც იმ აზრს მიემხრობოდა ხოლმე, რომელიც საკუთარს გეგმას უდგებოდა. თავად-აზნაურობა სცდილობდა რაც შეიძლება შეესუსტებინა ის ზარალი, რომელსაც გლეხთა განთავისუფლება აძლევდა. ხელმწიფე თავად-აზნაურობა ყველა მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებდა, მაგრამ, როგორც თვითონაცა სთქვა საბჭოს სხდომაზე, „რაც კი შეიძლებოდა გაკეთებულიყო თავად-აზნაურთა სასარგებლოდ,—გაკეთდა“.

გლეხთა განთავისუფლება და დიმიტრი ყიფიანი

დღეს შესრულდა ნახევარი საუკუნე, რაც რუსეთის ხელმწიფე ალექსანდრე მეორის მანიფესტით მოისპო მონობა რუსეთში, განთავისუფლდა გლეხი ყმობის მდგომარეობიდან. რუსეთის ზოგიერთს გუბერნიებში გავლენიანი მებატონე წინააღმდეგნი იყვნენ ამისთანა არა ჩვეულებრივის განკარგულებისა და აშკარად აცხადებდა, რომ ალექსანდრე მეორეს რუსეთის ბედნიერება კი არა დაღუპვა უნდაო. მთავრობა ფრთხილობდა, შიშობდა და მზათ იყო წინააღმდეგთათვის ჯეროვანი პასუხი გაეცა.

ამ გვარსავე წინააღმდეგობას მოელოდა მთავრობა საქართველოშიაც და იმ დროის მთავარ-მართებელი, ძმა ალექსანდრე მეორისა, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, მეტად ფრთხილობდა და ეკვში იყო, რომ გლეხთა განთავისუფლება მშვიდობიანად მომზადარიყო. ადგილობრივ მთავრობის მოხელეთა მომეტებული ნაწილი უმტკიცებდა დიდს მთავარს სასტიკი ზომების მიღების საჭიროებას. ამათ რიცხვში ქართველნიც იყვნენ და სომეხნიც. მცირე ნაწილი კი ამ მოხელეთა შორის, როგორიც იყვნენ დიმიტრი ყიფიანი, მიხეილ თუმანიშვილი, ზაქარია ავთანდილაშვილი, იოსებ და კონსტანტინე მამაცაშვილები, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები და ამათი მეგობრები უმტკიცებდენ, რომ არავითარი შიში არ მოელის მთავრობას ქართველთაგან; თუმცა ესეც კი იყვნენ ზოგი ერთნი ქართველნი წინააღმდეგნი გლეხთა განთავისუფლების, მაგრამ ხმა მაღლა და აშკარად ამის გამოცხადებას ვერა ჰბედავდნენ.

საქართველოს გლეხთა განთავისუფლებაში ბატონყმურ მონობისაგან დიდი შრომა და მზურვალე ღვაწლი ძიუძღვის აწ განსვენებულს დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანს.

დიმიტრი ყიფიანმა, იმ დროის მთავარ-მართებლის საბჭოს წევრად მყოფმა, განთავისუფლების ორი წლის წინათ დაიარა ქართლ-კახეთი, ზოგან ეტლით, ზოგან ცხენით; ფეხითაც მოუხდა რამდენჯერმე სიარული. ის აჯერებდა თავად-აზნაურთა წინამძღოლი, თუ სხვა ვინმე. საბჭოს 24 წევრი იმ აზრისა იყო, რომ მაზრის წინამძღოლი უნდა თავმჯდომარეობდეს. თავად-აზნაურთა წინამძღოლი კარგად იცნობს ადგილობრივ პიროვნებს, ამასთანავე ის ყოველთვის ეცდება დაიცვას გლეხების ინტერესები. ესეც რომ არ იყოს, ამ რეფორმით თავად აზნაურობა ბევრს თავის უფლებებს ჰკარგავს, ამიტომ ამ ინსტიტუტით ცოტათი მაინც უნდა შევუნარჩუნოთ თავად-აზნაურობას დაკარგული გავლენაო. საბჭოს 19 წევრი კი წინააღმდეგს ამტკიცებდა. პირველ ხანებში გლეხებსა და თავად-აზნაურთა შორის ხშირად იქნება ხოლმე დავა და ამიტომ თავად-აზნაურობა როგორც დაინტერესებული მხარე, პირველ ხანებში მაინც, შორს უნდა იდგეს ამ დავიდანაო. აქ კი ხელმწიფემ პირველებს დაუჭირა მხარე, და პროექტის 99 მუხლი შეცვლილ იქმნა თანახმად 24 წევრის აზრისა.

საბჭომ ბევრი სხვა საკითხებიც განიხილა, მაგრამ პრინციპიალური მოსაზრებანი წინა სხდომებზე იქმნა განხილული. ხელმწიფე ყოველთვის უმრავლესობის აზრს არ ამტკიცებდა ხოლმე. მას, როგორც ეტყობა, შემუშავებული ჰქონდა საკუთარი გეგმა მოქმედებისა და საბჭოშიაც იმ აზრს მიემხრობოდა ხოლმე, რომელიც საკუთარს გეგმას უდგებოდა. თავად-აზნაურობა სცდილობდა რაც შეიძლება შეესუსტებინა ის ზარალი, რომელსაც გლეხთა განთავისუფლება აძლევდა. ხელმწიფე თავად-აზნაურობა ყველა მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებდა, მაგრამ, როგორც თვითონაცა სთქვა საბჭოს სხდომაზე, „რაც კი შეიძლებოდა გაკეთებულიყო თავად-აზნაურთა სასარგებლოდ,—გაკეთდა“.

ბატონ-ყმობა ფრონის ზეობაში 1840—1860 წ.წ.

რა მდგომარეობაში იყო ბატონ-ყმობის დროს გლეხი, რას იხდიდა ბატონის სასარგებლოდ, ან სახელმწიფო გადასახადს, რა იყო მისი ავლადიდება,—ყველა ამ კითხვების ასახსნელად დავიარე რამდენიმე სოფელი, გავმართე საუბარი მოსწრებულ კლეხებთან და მათ ნალაპარაკევს ვადარებ ეხლანდელ მათ მდგომარეობასთან.

კაჯოს შური. ბატონ-ყმობის დროს ბატონი შეგვაწერდა,—ამბობს ერთი გლეხი,—შეძლებისა და ვვარად, აგრედვე მამულის მიხედვით. კალოობა დროს 10—15—25 კოდ პურსა, კოდი მაშინ იწონიდა—4 ფუთსა, ეშვიათი იყო შეძლებულ გლეხს 25 კოდ პურზედ რომ მეტი გადაეხადა. ვარაუდით დღიურზედ მოდიოდა—1 კ. პ. ანუ 4 ფუთი. სიმინდის, ქერის და სხვ. ჭირნახულის აღებას აგრე რიგად არ ეტანებოდნენ ბატონები.

ბუჯუხი. კულუხს (ღვინის ღალას) იღებდნენ ¼ მოსავლისას იმ ვენახებიდან, რომელიც დადებული იყო საკულუხოდ; პატარა ვენახებიდან არას იღებდნენ.

მუშა. ბატონს, როცა დასჭირდებოდა ვენახში მუშა, ან კალოზედ, ჩვენ ჩვენის ავეჯით უარი არ შეგვეძლო; აგრედვე ბატონის ძნა უნდა მიგვეტანა ჩვენის ურმით და ხარ და კამეჩებით მის კალოზედ.

